




ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს პარლამენტის საწვავის ხარჯები 2018-2020 წლებში



Supported by
Luminate
Building stronger societies



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია **Luminate**-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს **Luminate**-ის პოზიციას.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	5
საქართველოს პარლამენტის ავტოპარკი	5
პარლამენტის ადგილმდებარეობის ცვლილების გავლენა დეპუტატების საწვავის ხარჯებზე	7
საზღვარგარეთ მივლინებების გავლენა პარლამენტარების საწვავის ხარჯებზე	11
კომენდანტის საათის გავლენა საწვავის მოხმარებაზე	12
საერთაშორისო პრაქტიკა	15
დასკვნა	17

ძირითადი მიგნებები

- პარლამენტის ბალანსზე რიცხული 98 ავტომობილიდან 50 განპიროვნებულია პარლამენტის წევრებზე, რომელთა შორის ჭარბობს 2015 წელს შესყიდული TOYOTA CAMRY-ის მოდელის ავტომობილები.
- 2019 წელს (პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ), წინა წელთან შედარებით, დეპუტატების მიერ მოხმარებული საწვავი მხოლოდ 14%-ით შემცირდა.
- 2019 წელს ყველაზე მეტი საწვავი ილია ნაკაშიძემ (7,791 ლიტრი), ირაკლი კოვზანაძემ (7,197 ლიტრი), აკაკი ზოიძემ (7,071 ლიტრი), მამუკა მდინარაძემ (7,015 ლიტრი) და ზაზა გაბუნია (6,771 ლიტრი) მოიხმარა. მათ მიერ მოხმარებული საწვავი აღემატება ან/და დაახლოებით იგივე ნიშნულზეა რაც 2018 წელს, როცა პარლამენტი ქუთაისში ფუნქციონირებდა.
- 2019 წელს 15 დეპუტატის შემთხვევაში, დაფარული მანძილი აღემატება 50 ათას კილომეტრს. მათ შორის ყველაზე დიდი მანძილი დაფარეს - დიმიტრი ხუნდაძე - 59,946 კილომეტრი, გიორგი ბეგაძე - 57,415 კილომეტრი, ზაზა გაბუნია - 56,420 კილომეტრი, ილია ნაკაშიძე - 55,966 კილომეტრი.
- 2019 წელს საქართველოს პარლამენტარებზე განპიროვნებული ავტომობილები საშუალოდ ფარავდნენ 41,775 კილომეტრს, ხოლო 2018 წელს 48,544 კილომეტრს.
- პარლამენტარების მიერ ათვისებული საწვავის რაოდენობა ხშირ შემთხვევაში არ იცვლება იმ თვეებშიც, როცა 1 კვირიან ან უფრო ხანგრძლივ მივლინებებში იმყოფებიან საზღვარგარეთ.
- 2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდში (საგანგებო მდგომარეობის პერიოდი), წინა წლის ანალოგიურ თვეებთან შედარებით, პარლამენტარების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა დაახლოებით 30%-ით (14 ათასი ლიტრით) შემცირდა.
- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში (აპრილი-მაისი) ყველაზე მეტი საწვავი მოიხმარა დიმიტრი ხუნდაძემ (1,128 ლიტრი), გიორგი წერეთელმა (1,119 ლიტრი), ირაკლი კოვზანაძემ (1,073 ლიტრი), მარიამ ჯაშმა (1024 ლიტრი) და რატი იონათამიშვილმა (955 ლიტრი).
- საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, სხვადასხვა დეპუტატზე განპიროვნებულმა ავტომობილებმა (მაგ. დიმიტრი ხუნდაძე, გიორგი წერეთელი, გოჩა ენუქიძე, ირმა ინაშვილი, რატი იონათამიშვილი) საგანგებო მდგომარეობის პერიოდში უფრო მეტი საწვავი მოიხმარეს, ვიდრე წინა წლის იგივე თვეებში.

შესავალი

2019 წლიდან საქართველოს პარლამენტი ქუთაისიდან სრულად თბილისში გადმოვიდა. პარლამენტის ადგილმდებარეობის ცვლილების ერთ-ერთ მიზეზად საქართველოს ხელისუფლების მიერ ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება დასახელდა, რაც დაკავშირებული იყო ქუთაისში პარლამენტის ფუნქციონირებასთან. მათ შორის, აქტიურად განიხილებოდა ქუთაისის პარლამენტის შენობის დედაქალაქთან სიმორე, რაც პარლამენტარების ავტომობილით გადაადგილებისას როგორც დროით, ასევე მატერიალურ რესურსს მოითხოვდა.

კვლევის ფარგლებში, IDFI-მ საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა 2018-2020 წლებში საქართველო პარლამენტარებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ მოხმარებული საწვავის და გავლილი კილომეტრაჟის შესახებ ინფორმაცია. კვლევის პერიოდი, ასევე ემთხვევა კორონავირუსის პანდემიის შედეგად ქვეყანაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობის პერიოდს, როდესაც დაწესებული იყო კომენდანტის საათი და მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო ავტომობილებით გადაადგილება.


საქართველოს პარლამენტიდან სრულყოფილად მოწოდებულმა ინფორმაციამ IDFI-ს საშუალება მისცა შეესწავლა 2018-2020 წლებში პარლამენტარების მიერ საწვავის მოხმარების და დაფარული მანძილის მონაცემები. ამასთან, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა პარლამენტის შენობის ადგილმდებარეობის ცვლილების, საგანგებო მდგომარეობის პირობებში გადაადგილების დაწესებული შეზღუდვების და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენა მსგავს ხარჯებზე.

საქართველოს პარლამენტის ავტოპარკი

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პარლამენტის ბალანსზე ირიცხებოდა 98 ავტომობილი, საიდანაც 50 განპიროვნებულია პარლამენტის წევრებზე. საქართველოს პარლამენტის წევრებს შორის, სახელმწიფო ავტომობილებით გადაადგილება გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობებისათვის: პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, ფრაქციის თავმჯდომარე, უმრავლესობის ლიდერი, კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე. პარლამენტის ბალანსზე რიცხულ ავტომობილებს შორის ჭარბობს TOYOTA CAMRY-ის (38 ერთეული) და HYUNDAI ELANTRA -ს (29 ერთეული) მოდელის ავტომობილები.

პარლამენტის ბალანსზე რიცხული ავტომობილები

■ TOYOTA CAMRY ■ HYUNDAI ELANTRA ■ SKODA OCTAVIA ■ სხვა



საქართველოს პარლამენტის წევრების უმრავლესობაზე (პარლამენტის 36 წევრზე) განპიროვნებულია TOYOTA CAMRY-ის მოდელის ავტომობილები, რომლებიც შესყიდულია 2015 წელს (თითოეულის ფასი - 70,425 ლარი). კომიტეტების თავმჯდომარეების 11 მოადგილეზე განპიროვნებულია HYUNDAI ELANTRA-ს ტიპის ავტომობილი, რომლებიც შესყიდულია 2018 წელს (თითოეული ფასი 40,946 ლარი). პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის კახა კუჭავას სარგებლობაშია HYUNDAI IONIQ HYBRID, რომელიც ასევე შესყიდულია 2018 წელს. აღნიშნული ავტომობილი, ჰიბრიდული ძრავით და შესაბამისად წვის ეკონომიურობით, წარმოადგენს იშვიათ გამოჩვენების საქართველოს საჯარო სექტორში.


საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეზე TOYOTA CAMRY-ის მოდელის ავტომობილთან ერთად, ასევე განპიროვნებულია MERCEDES BENZ S 350 L-მოდელის ავტომობილი, რომელიც 2009 წელს არის შესყიდული 178,900 ლარად, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარლამენტის წევრებზე განპიროვნებული ავტომობილების უმრავლესობა შესყიდულია 2015 წელს. შესაბამისად, წლების განმავლობაში პარლამენტარების მიერ მოხმარებული საწვავის და გავლილი კილომეტრაჟის მაჩვენებლების ტენდენციების ანალიზი, უმეტესწილად წარმოდგენილია ერთი და იგივე ავტომობილით სარგებლობის პირობებში. აღნიშნული გარემოება იძლევა პარლამენტარების მიერ ავტოპარკის ოპტიმალური განკარგვის მეტი სიზუსტით შეფასების შესაძლებლობას.

პარლამენტის ადგილმდებარეობის ცვლილების გავლენა დეპუტატების საწვავის ხარჯებზე

2018 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ქუთაისში ბოლო სესია ჩაატარა და 2019 წლიდან პარლამენტი, 6 წლის შემდეგ, ისევ თბილისში დაბრუნდა. ამ ცვლილების ერთ-ერთ მიზეზს, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ქუთაისის შენობის დედაქალაქიდან დაშორება. შესაბამისად, მისი თბილისში დაბრუნებით გარკვეულწილად მოსალოდნელი იყო პარლამენტის საწვავის ხარჯების შემცირება. პარლამენტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახული მონაცემების მიხედვით, საწვავის ხარჯმა 2019 წელს 867.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე (969.8 ათასი ლარი) დაახლოებით 100 ათასი ლარით ნაკლებია. საწვავის ხარჯების კლებასთან დაკავშირებით, პარლამენტის ბიუჯეტის განმარტებაში არ არის აღნიშნული პარლამენტის ადგილმდებარეობის ცვლილების ფაქტორი და ეს შედეგი ახსნილია მხოლოდ მოძველებული ავტოპარკის მცირედი ნაწილის განახლებით.

საქართველოს პარლამენტის თბილისში დაბრუნებით, ასევე, მოსალოდნელი იყო დეპუტატების სამგზავრო დროის და მანძილის მნიშვნელოვანი შემცირება. საქართველოს პარლამენტიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, დეპუტატების მიერ მოხმარებული საწვავი მხოლოდ 14%-ით შემცირდა. კერძოდ, 2018 წლის განმავლობაში, დეპუტატებმა ჯამში 301,654 ლიტრი საწვავი მოიხმარეს, ხოლო 2019 წელს - 258,171 ლიტრი.




2019 წელს პარლამენტარების მიერ საწვავის ჯამური მოხმარების შემცირების ტენდენცია არ ვრცელდება ინდივიდუალურად ყველა პარლამენტარის მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემულია ის 15 დეპუტატი, რომლებმაც 2019 წელს ყველაზე დიდი რაოდენობით საწვავი მოიხმარეს. მათი უმრავლესობის შემთხვევაში, უკანასკნელი 2 წლის მაჩვენებლები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, ხოლო 7 მათგანის შემთხვევაში, **2019 წელს მოხმარებული რაოდენობა აჭარბებს 2018 წლის მაჩვენებელს.**


მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის ერთერთმა მოადგილე, ილია ნაკაშიძემ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი კოვზანაძემ, და ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა

კომიტეტის თავმჯდომარე (ყოფილი), აკაკი ზოიძემ ორივე წელს, 7,000 ლიტრზე მეტი საწვავის მოიხმარეს. ხოლო, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე (ყოფილი), თამარ ხულორდავა და აგრარულს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ოთარ დანელიამ დაახლოებით 50% მეტი საწვავი მოიხმარეს 2019 წელს, ვიდრე 2018-ში.

როგორც უკვე აღინიშნა, პარლამენტის თავმჯდომარეზე განპიროვნებულია ორი ავტომობილი. ორივე ავტომობილის ხარჯის შეჯამების შემთხვევაში, ვიღებთ ყველა დეპუტატზე მაღალ მაჩვენებელს. 2018 წელს, როდესაც თავმჯდომარის პოზიციას ირაკლი კობახიძე იკავებდა, მასზე განპიროვნებულმა ავტომობილებმა ჯამში 12,197 ლიტრი საწვავი მოიხმარეს, ხოლო 2019 წელს 8,235 ლიტრი (მოქმედი თავმჯდომარე: არჩილ თალაკვაძე).




პარლამენტიდან მიღებული მონაცემების თანახმად, დეპუტატებზე განპიროვნებული ავტომობილების წვის საშუალო მაჩვენებლები 100 კილომეტრზე 7.5-იდან 16 ლიტრამდე მერყეობდა, გამონაკლისია მხოლოდ ზემოთ-ხსენებული HYUNDAI IONIQ HYBRID, რომელიც მხოლოდ 4.7 ლიტრ საწვავს მოიხმარს და შედეგად 2019 წლის საწვავის ხარჯმა მხოლოდ 2,000-მდე ლიტრი შეადგინა, მიუხედავად იმისა რომ კახა კუჭავამ ამ წელს 43,000-მდე კილომეტრი დაფარა (ანალოგიურ მანძილზე, სხვა დეპუტატებმა 4,000-იდან 7,000 ლიტრამდე საწვავი მოიხმარეს). ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა პარლამენტის თავმჯდომარეზე განპიროვნებული MERCEDES BENZ S 350 L, რომელიც 2019 წელს 100 კილომეტრზე 16.1 ლიტრ საწვავს მოიხმარდა, ხოლო 2018 წელს 22.1 ლიტრს.



2019 წელს საქართველოს პარლამენტარებზე განპიროვნებული ავტომობილები საშუალოდ ფარავდნენ 41,775 კილომეტრს. 2018 წელს ზოგიერთი დეპუტატის შემთხვევაში, მსგავსი მონაცემები სრულად არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, დიმიტრი ხუნდაძე, გიორგი ბეგაძე, გენადი მარგველაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ირაკლი ბერაია და პაატა კვიფინაძე 2018 წლის პირველ ნახევარში სარგებლობდნენ VOLKSWAGEN PASSAT მოდელის ავტომობილებით, ხოლო მეორე ნახევარში მათთვის შესყიდულ იქნა HYUNDAI ELANTRA-ს მოდელის მანქანები. პარლამენტის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ასახულია მხოლოდ HYUNDAI ELANTRA-ს მოდელის ავტომობილის გარბენები. იმ დეპუტატების შემთხვევაში (37 დეპუტატი), რომლებზეც 2018 წელს მოწოდებულია სრული მონაცემები, საშუალო გარბენი შეადგენს 48,544 კილომეტრს.

2019 წელს 15 დეპუტატის შემთხვევაში, დაფარული მანძილი აღემატება 50 ათას კილომეტრს. მათ შორის ყველაზე დიდი მანძილი დაფარეს - დიმიტრი ხუნდაძემ - 59,946 კილომეტრი, გიორგი ბეგაძემ - 57,415 კილომეტრი, ზაზა გაბუნია - 56,420 კილომეტრი, ილია ნაკაშიძემ - 55,966 კილომეტრი. 2018 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება: სიმონ ნოზაძე - 65,643 კილომეტრი, ილია ნაკაშიძე - 64,324 კილომეტრი, ირაკლი სესიაშვილი - 63,105 კილომეტრი და სხვ.

პარლამენტარების მიერ გავლილი კილომეტრაჟი (2019 წლის TOP 15)



*2018 წელს, პირი სარგებლობდა ორი სხვადასხვა ავტომობილით, მაგრამ პარლამენტის მიერ მოწოდებულია მხოლოდ ერთი ავტომობილის გარბენი.

საზღვარგარეთ მივლინებების გავლენა პარლამენტარების საწვავის ხარჯებზე

მორიგი ფაქტორი, რომელიც საწვავის ეფექტიან ხარჯვასთან დაკავშირებულ კითხვებს აჩენს, გახლავთ იმ დეპუტატების მაჩვენებლები, რომლებიც 2018-2019 წლებში აქტიურად დადიოდნენ საზღვარგარეთ მივლინებებში, თუმცა ამას მათ მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც დეპუტატებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ ათვისებული საწვავის რაოდენობა არ იცვლება, იმ თვეებშიც კი როდესაც პარლამენტარები 1 კვირიან ან უფრო ხანგრძლივ მივლინებებში იმყოფებიან. მაგალითად, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის იმდროინდელი თავმჯდომარე, სოფო ქაცარავა 2019 წლის ივნისის თვეში ოთხჯერ იმყოფებოდა მივლინებაში, შედეგად, მან ჯამში მინიმუმ 11 დღე გაატარა საზღვარგარეთ. მიუხედავად ამისა, მასზე განპიროვნებულმა ავტომობილმა ამ თვეში მაინც სრულად აითვისა გამოყოფილი საწვავის ოდენობა.

საზღვარგარეთ მივლინების გავლენა, მოხმარებული საწვავის ოდენობაზე (საწვავის ხარჯვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე დეპუტატების მაგალითზე)

	2018			2019		
	საწვავის ხარჯი არასამივლინებო თვეში	საწვავის ხარჯი სამივლინებო თვეში	მივლინებების დღეები	საწვავის ხარჯი არასამივლინებო თვეში	საწვავის ხარჯი სამივლინებო თვეში	მივლინებების დღეები
ილია ნაკაშიძე	700	700	6			
ირაკლი კოვზანაძე	600	600	7	600	600	7
აკაკი ზოიძე	600	600	5	600	477	7
მამუკა მდინარაძე	600	584	5	599	561	10
მარიამ ჯაში	600	600	8	600	600	7
ოთარ კახიძე				575	600	7
სოფო ქაცარავა	600	600	7	600	600	11
თამარ ხულორდავა	589	392	8	600	483	7
ოთარ დანელია	525	505	10	600	537	8
სოფო კილაძე	582	445	9	600	506	9

ეს ტენდენცია უფრო მკაფიოდ გამოიხატება იმ დეპუტატების მაგალითზე, რომლებსაც წლის განმავლობაში ყველაზე დიდი რაოდენობით სამივლინებო დღეები უფიქსირდებათ. მაგალითად, გიორგი წერეთელმა 2018 წლის ნოემბერში 22 დღე გაატარა საზღვარგარეთ მივლინებაში. მიუხედავად ამისა, მასზე განპიროვნებულმა ავტომობილმა დაახლოებით იმავე ოდენობის საწვავი მოიხმარა, რაც აგვისტოს თვეში, რომელშიც გიორგი წერეთელს არც ერთი მივლინება არ უფიქსირდება. ანალოგიური ვითარება გვხვდება ეკა ბესელიას, ირაკლი ბერაიას, ნინო გოგუაძის და დავით ბაქრაძის შემთხვევებშიც, 2018 წლის მონაცემების მიხედვით.

	2018			2019		
	საწვავის ხარჯი არასამივლინებო თვეში	საწვავის ხარჯი სამივლინებო თვეში	მივლინ ების დღეები	საწვავის ხარჯი არასამივლინებო თვეში	საწვავის ხარჯი სამივლინებო თვეში	მივლინ ების დღეები
გიორგი წერეთელი	508	497	22	567	563	16
ეკა ბესელია	585	544	11	598	155	14
ირაკლი ბერაია	450	450	11	450	326	19
ნინო გოგუაძე	306	349	10	314	213	17
დავით ბაქრაძე	700	640	10			

კომენდანტის საათის გავლენა საწვავის მოხმარებაზე

IDFI-იმ საქართველოს პარლამენტიდან ასევე გამოითხოვა 2020 წლის საწყის 6 თვეში მოხმარებული საწვავის მაჩვენებლებიც. ამ პერიოდში პარლამენტარებზე განპიროვნებულ ავტომობილებზე მოხმარებული საწვავის ოდენობა, 2018-2019 წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გარკვეულწილად, შემცირებულია. კერძოდ, 2020 წლის 6 თვეში, დეპუტატებმა ჯამში 112,811 ლიტრი საწვავი მოიხმარეს. ეს რაოდენობა 2019 წლის შესაბამის პერიოდში 128,050 ლიტრს აღწევდა, ხოლო 2018-ში - 149,272 ლიტრს. აღნიშნული შემცირება უმეტესწილად განპირობებულია საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ავტომობილებით გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვებით. კერძოდ, 2020 წლის 21 მარტს, საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ხოლო 31 მარტიდან კომენდანტის საათი, რომლის ფარგლებშიც 21:00-დან 06:00-მდე ქუჩაში გასვლა აიკრძალა. ამას დაემატა საქალაქთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვა და 17 აპრილიდან 27 აპრილამდე მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილების სრული აკრძალვა. საგანგებო მდგომარეობა გაგრძელდა 23 მაისის ჩათვლით. შედეგად, 2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პარლამენტარების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა დაახლოებით 30%-ით (14 ათასი ლიტრით) შემცირდა.

აღნიშნული შეზღუდვების ფონზე, მოსალოდნელი იყო დეპუტატების საწვავის ხარჯების შემცირება გასული წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით. თუმცა, როგორც ირკვევა, შეზღუდვების მიუხედავად, სხვადასხვა დეპუტატებზე განპიროვნებულმა ავტომობილებმა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში გადააჭარბეს წინა წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს.


ცალკეული დეპუტატების შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საწვავის მოხმარების ზრდა, შესაძლებელია განპირობებული იყოს მათი საქმიანობის სპეციფიკით, რაც დაკავშირებული იყო პანდემიასთან. მაგალითად, დიმიტრი ხუნდაძე პასუხისმგებელი იყო ჰოსპიტალური მზაობის შემოწმებაზე და მისივე განცხადებით, ყოველდღიურად უწევდათ მნიშვნელოვანი მანძილის დაფარვა. შედეგად, დიმიტრი ხუნდაძის ავტომობილმა ამ პერიოდში მოიხმარა 1,128 ლიტრი საწვავი. მაშინ როდესაც, 2019 წელს, ამავე პერიოდში, 300 ლიტრით ნაკლები დახარჯა.

სხვა პარლამენტარების შემთხვევაში, პანდემიის პერიოდში საწვავის მოხმარების ზრდის ან/და იმავე ნიშნულზე შენარჩუნების ხელშესახები მიზეზები ინსტიტუტისათვის უცნობია. მაგალითად,

წინა წლის აპრილი-მაისის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია გიორგი წერეთლის და გოჩა ენუქიძის საწვავის ხარჯები. გიორგი წერეთელზე განპიროვნებული ავტომობილის საწვავის ხარჯი 2019 წლის აპრილი-მაისის პერიოდში შეადგენდა 538 ლიტრს, ხოლო 2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდში 1,119 ლიტრს. გოჩა ენუქიძის შემთხვევაში - 2019 წლის აპრილი-მაისის პერიოდში მოხმარებულია 690 ლიტრი, ხოლო 2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდში - 891 ლიტრი. აღნიშნული ზრდა, გოჩა ენუქიძის შემთხვევაში შესაძლებელია უკავშირდებოდეს მასზე განპიროვნებული ავტომობილის ცვლილებას (2019 წელს სარგებლობდა VOLKSWAGEN PASSAT-ის მოდელის ავტომობილით, ხოლო 2020 წელს TOYOTA CAMRY-ის მოდელის ავტომობილით). თუმცა, 2020 წლის აპრილი-მაისის თვეების 2020 წლის სხვა თვეებთან შედარებაც ცხადყოფს, რომ საგანგებო მდგომარეობით დაწესებულ შეზღუდვებს მის მიერ მოხმარებულ საწვავზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. მაგალითად, გოჩა ენუქიძემ ერთი და იგივე ავტომობილის პირობებში, 2020 წლის იანვარში მოიხმარა 419 ლიტრი საწვავი, თებერვალში - 341 ლიტრი, მარტში - 462 ლიტრი, აპრილში - 456 ლიტრი, ხოლო მაისში - 436 ლიტრი.


2019 წლის ხარჯს ასევე გადააჭარბეს ირმა ინაშვილმა და რატი იონათამიშვილმა. კერძოდ, ირმა ინაშვილმა 2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდში 136 ლიტრით მეტი საწვავი მოიხმარა, ვიდრე 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში, ხოლო რატი იონათამიშვილმა 55 ლიტრით მეტი.

2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდში დაწესებულ შეზღუდვებს ასევე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ირაკლი კოვზანაძის, მარიამ ჯაშის, შაკო კიკნაველიძის და ალექსანდრე ქანთარიაშვილის შემთხვევაში, რომლებიც დაახლოებით იმავე ოდენობის საწვავს მოიხმარდნენ, რასაც სხვა თვეებში.




*აღნიშნული მონაცემები მოიცავს მხოლოდ პარლამენტარებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ მოხმარებულ რაოდენობებს, გათვალისწინებული არ არის აპარატის ხარჯები.

**პარლამენტარების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა
(ლიტრი)
(2020 6 თვე TOP 15)**



**საგანგებო მდგომარეობის პერიოდში პარლამენტარების
მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა
(2020 აპრილი-მაისი TOP15)**



საერთაშორისო პრაქტიკა

საქართველოს პარლამენტის სარგებლობაში არსებული ავტოპარკის ხარჯთ-ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია, სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის მიმოხილვა. ამ მიზნით, IDFI-მ შეისწავლა ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითი, რომლის მიხედვით საკანონმდებლო ორგანოს ავტოპარკის რეგულირების პრაქტიკა ამ ქვეყნებში განსხვავებულია. კერძოდ, დასავლეთ და ჩრდილო-ევროპის ქვეყნებში გვხვდება შედარებით მცირე ზომის ავტოპარკები, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი „წითელი“ ბლოკის ქვეყნებში ვაწყდებით საჯარო საკუთრებაში არსებული ავტომობილების უფრო დიდ რაოდენობას. ასევე

აღსანიშნავია რომ, ევროკავშირის ფარგლებში ძლიერი [აქცენტი კეთდება ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გამოყენებაზე](#).

შვედეთის პარლამენტის (რიქსდაგის) წევრებს უნაზღაურდებათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სამგზავრო ხარჯები. ანაზღაურების მისაღებად [დეპუტატი ვალდებულია გამოიყენოს ყველაზე დაბალ-ფასიანი სატრანსპორტო საშუალება](#), სხვა ტიპის ტრანსპორტის გამოყენების შემთხვევაში, მას მოეთხოვება აუცილებლობის დასაბუთების წარდგენა. დეპუტატებს ყოველწლიურად გადაეცემათ სარკინიგზო ბარათი, რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ სამსახურობრივი მიზნით. საკუთარი ავტომობილით სარგებლობისას, როდესაც ეს დასაბუთებულია, პარლამენტის წევრები იღებენ კომპენსაციას სამსახურობრივი მიზნით გავლილი კილომეტრაჟის საფუძველზე (კილომეტრზე დაახლოებით 1.5 ევრო).

ავტომობილების განპიროვნების პრაქტიკა არ გვხვდება არც **დიდი ბრიტანეთის** საკანონმდებლო ორგანოში. თუმცა რიქსდაგის მსგავსად, თემთა პალატა ანაზღაურებს სამგზავრო ხარჯებს [კონკრეტული ფორმულის მიხედვით](#). წლის განმავლობაში, პირველი 10,000 მილი ანაზღაურდება ერთ მილზე 40 პენსით, ხოლო შემდგომ 25 პენსით (16,000 კილომეტრი, 0.27 ევრო კილომეტრზე, 0,17 ევრო კილომეტრზე).

საფრანგეთის ორ-პალატიანი პარლამენტი ჯამში 925 დეპუტატსა და სენატორს მოიცავს, თუმცა ორგანოს ადმინისტრაციას [ემსახურება მხოლოდ 60-მდე ავტომობილი](#).

გერმანიის ბუნდესტაგის ავტოპარკი დაახლოებით [120 ავტომობილს მოიცავს](#) და 709 დეპუტატს ემსახურება.

რუმინეთის ორ-პალატიანი საკანონმდებლო ორგანო დაკომპლექტებულია 175 სენატორითა და 412 დეპუტატით. ხოლო ავტოპარკი მოიცავს 119 ავტომობილს და [მათ უმრავლესობას შეადგენს რუმინული DACIA-ს წარმოების მანქანები](#).

ლიეტუვის სეიმის ავტოპარკი შედგება [80-მდე ავტომობილისგან](#) და ემსახურება 141 დეპუტატს და ადმინისტრაციულ პერსონალს. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანოს ადმინისტრაცია ბოლო წლებში მრავალჯერ აღმოჩნდა [კრიტიკის](#) ობიექტი ავტოპარკის ხარჯებთან დაკავშირებული ხარვეზებიდან გამომდინარე.

ესტონეთის პარლამენტის წევრებს სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯები უნაზღაურდებათ ყოველთვიური სარგოს მიხედვით. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანო ახდენს სატრანსპორტო, საოფისე, საკომუნიკაციო და სხვა ხარჯების კომპენსაციას დეპუტატის ხელფასის 30%-ის ფარგლებში.

საკანონმდებლო ორგანო		საკანონმდებლო ორგანოს სარგებლობაში არსებული ავტომობილები
საქართველო	150 დეპუტატი	98 ავტომობილი
საფრანგეთი	925 დეპუტატი/სენატორი	60 ავტომობილი
გერმანია	709 დეპუტატი	120 ავტომობილი
რუმინეთი	587 დეპუტატი/სენატორი	119 ავტომობილი
ლიეტუვა	141 დეპუტატი	80 ავტომობილი

ბიუროკრატიული ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, ნებისმიერი ხელისუფლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების რაციონალური განკარგვა, რადგან სახელმწიფო ავტოპარკის პერიოდული განახლება და შენახვა მნიშვნელოვან დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

ბოლო წლებში, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის პარლამენტარების მიერ არაერთხელ გაჟღერებულა სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის რეფორმის აუცილებლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, წინამდებარე კვლევაში პარლამენტარებზე განპიროვნებული ავტომობილების მაგალითზე წარმოდგენილი ანალიზი, მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მზაობასა და გულწრფელ დამოკიდებულებაზე სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის რეფორმასთან დაკავშირებით.

კერძოდ, კვლევაში მოყვანილი გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლის გავლენაზე საწვავის ხარჯებზე, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში საეჭვოდ მაღალი აქტიურობა, ეჭვქვეშ აყენებს პარლამენტის ავტოპარკში რიცხული ავტომობილების განკარგვის ხარჯთ-ეფექტურობასა და მიზნობრიობას. ამასთან, ანალიზის შედეგად, თვალსაჩინო გახდა პარლამენტარების საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდში ავტომობილების განკარგვის კონტროლის მექანიზმების გამკაცრების საჭიროება.

საქართველოს პარლამენტის ბალანსზე რიცხული ერთი ჰიბრიდული ავტომობილის მაგალითზეც, თვალსაჩინოა მსგავსი ავტომობილების უპირატესობა მათი ეკონომიურობის თვალსაზრისით. კერძოდ, სხვა ნებისმიერი პარლამენტის ბალანსზე რიცხული ავტომობილის საშუალო წვის მაჩვენებელი მინიმუმ ორჯერ აღემატება ჰიბრიდული ავტომობილის მაჩვენებელს. შესაბამისად, პარლამენტის ავტოპარკის განახლებისას მიზანშეწონილია მსგავსი გარემოების გათვალისწინება და არჩევანის ეკონომიურ და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილებზე გაკეთება.

IDFI მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, ინსტიტუტის კვლევებში სახელმწიფო ავტოპარკის განკარგვასთან დაკავშირებით გამოვლენილ სისტემურ ნაკლოვანებებზე განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი და არსებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება.

თანამდებობა	სახელი გვარი	ავტომობილის მოდელი	სერიული ნომერი	2018				2019				2020 (6 თვე)		
				საწვავი (ლიტრი)	გარბენი (კმ)	საწვავი 6 თვე	საშუალო წვა (100 კმ-ზე)	საწვავი (ლიტრი)	გარბენი (კმ)	საწვავი 6 თვე	საშუალო წვა (100 კმ-ზე)	საწვავი (ლიტრი)	გარბენი (კმ)	საშუალო წვა (100 კმ-ზე)
პარლამენტის თავმჯდომარე	არჩილ თალაკვაძე	TOYOTA CAMRY	BB-551-VV					4489.82	37300	2661.58	12	1403.81	10480	13.3
		MERCEDES BENZ S 350 L	ES-080-SE					3745.36	23250	1540.91	16.1	1511.34	8020	18.8
	ირაკლი კობახიძე	TOYOTA CAMRY	BB-520-VV	5413.97	41820	2673.53	12.9							
		MERCEDES BENZ S 350 L	ES-080-SE	6782.76	30670	3936.93	22.1							
9-ე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე	ირაკლი კობახიძე	TOYOTA CAMRY	BB-520-VV					5482.86	44040	2876.3	12.4	1900.39	15940	11.9
ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე	ოთარ კახიძე	TOYOTA CAMRY	BB-519-VV	6315.71	50443	2849.22	12.5	6616.04	50020	3057.19	13.2	2921.07	22195	13.1
ფრაქცია „საქ-ოს პატრიოტები“ თავმჯდომარე	გიორგი ლომია	TOYOTA CAMRY	BB-521-VV	5090.92	43345	2690	11.7	4572.01	38000	2156	12	758.49	7130	10.6
ფრაქცია „ევროპული საქართველო-მოდრობა თავისუფლებისთვის“ თავმჯდომარე	გიორგი წერეთელი	TOYOTA CAMRY	BB-523-VV	5893.62	44768	2877.75	13.1	5409.13	35480	2342.94	15.2	3446.31	25370	13.5
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკ-ური პოლიტიკის კომიტ./თავმჯდომარე	რომან კაკულია	TOYOTA CAMRY	BB-524-VV	6536.54	50780	3149.52	12.8	6542.22	41445	3085.82	15.7	2362.2	16530	14.2
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტ./თავმჯდომარე	თამარ ხულორდავა	TOYOTA CAMRY	BB-526-VV	4569.12	39575	2268.88	11.5	6415.38	47097	3342.76	13.6			
	დავით სონღულაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-526-VV									1950.95	13703	14.2
ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტ./თავმჯდომარე	სოფო კილაძე	TOYOTA CAMRY	BB-527-VV	6501.54	55200	3083.5	11.8	6177.17	50857	3296.14	12.1	2665.49	21923	12.1
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტ./თავმჯდომარე	მიხეილ ყაველაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-528-VV	7041.49	64963	3584.64	10.8	6030.03	43542	3125.51	13.8	2314.75	20371	11.3

რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე	ზაზა გაბუნია	TOYOTA CAMRY	BB-529-VV	6821.34	61788	3259.45	11	6771.15	56420	3173.25	12	3179.64	20702	15.3
მე-8 მოწვევის პარლ-ნტის თავმჯდომარე	დავით უსუფაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-530-VV	5440.76	43430	2297.42	12.5							
ფრაქცია „ქართ. ოცნება-სოციალ დემოკრატები“ თავმჯდომარე	გიორგი ჟორჟოლიანი	TOYOTA CAMRY	BB-531-VV	6520.99	49455	3167.82	13.1							
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტ./თავმჯდომარე	ზვიად კვაჭანტირაძე	TOYOTA CAMRY	BB-532-VV	6917.93	53571	3339.69	12.9							
	ბექა ოდიშარია	TOYOTA CAMRY	BB-532-VV					5121.66	33881	2244.82	15.1	2647.49	16767	15.7
პარლ-ნტის თავ-რის მოადგ.	გიორგი ვოლსკი	TOYOTA CAMRY	BB-533-VV	4272.84	37734	2030.37	11.3	3742.27	30700	1599.95	12.1			
	მამუკა მდინარაძე	TOYOTA CAMRY	BB-537-VV									3191.12	20724	15.3
ფრაქცია „ქართ. ოცნება-რეგიონების განვითარებისათვის“ თავმჯდომარე	კახაბერ ოქრიაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-534-VV	1028.77	8089	600.91	12.7	1528.48	14024	738.4	10.8	450.29	3663	12.2
პარლ-ნტის თავ-რის მოადგ.	აერგი კაპანაძე	TOYOTA CAMRY	BB-535-VV	7762.8	62403	3908.39	12.4	6033	49187	2668.72	12.2	2893.38	23545	12.2
პარლ-ნტის თავ-რის პირველი მოადგ.	თამარ ჩუგოშვილი	TOYOTA CAMRY	BB-536-VV	3342.24	29172	1659.39	11.4	2544.83	21308	1361.87	11.9			
	გიორგი ვოლსკი	TOYOTA CAMRY	BB-533-VV									1664.33	10467	15.9
ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე	მამუკა მდინარაძე	TOYOTA CAMRY	BB-537-VV	6660.65	51520	3305.67	12.9	7015.07	44580	3443.8	15.7			
ფრაქცია „ქართ. ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე	გიგა ბუკია	TOYOTA CAMRY	BB-538-VV	5841.98	41076	3168.38	14.2	5323.17	35283	2896.1	15			
საპროცედ./საკითხთა და წესების კომიტ./თავმჯდომარე	გიორგი კახიანი	TOYOTA CAMRY	BB-539-VV	5206.86	39482	2660.95	13.1	4692.08	35861	2347.07	13			
	გურამ მაჭარაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-556-VV									2854.98	27785	10.2
პარლ-ნტის თავ-რის მოადგ.	ილია ნაკაშიძე	TOYOTA CAMRY	BB-540-VV	7550.91	64324	3760.69	11.7	7791.48	55966	3869.26	13.9	2877.18	23105	12.4
იურიდიულ საკითხთა კომიტ./თავმჯდომარე	ეკა ბესელია	TOYOTA CAMRY	BB-541-VV	6860.14	64697	3503.5	10.6	1614.38	16070	468.6	10			
	ანრი ოხანაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-531-VV					4687.69	41245	2443.94	11.3	1336.67	11717	11.4
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“ თავმჯდომარე	გიორგი გაჩეჩილაძე	TOYOTA CAMRY	BB-542-VV	4951.96	41276	2315.9	11.9	5530.17	44960	2699.81	12.3	2307.73	19920	11.5

ფრაქცია „ევროპული საქართველო-რეგიონები“ თავმჯდომარე	გიორგი ღვინიაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-543-VV	4301.8	36340	2389.27	11.8	3231.33	28115	1664.99	11.4	1819.92	14679	12.3
ჯანდაცვ. და სოფ./საკითხთა კომიტ./თავმჯდომარე	აკაკი ზოიძე	TOYOTA CAMRY	BB-545-VV	7198.15	55500	3599.79	12.9	7071.72	48100	3475.62	14.7			
	დიმიტრი ხუნდაძე	TOYOTA CAMRY	BB-545-VV									3070.32	30240	10.1
აგრარულ საკითხთა კომიტ./თავმჯდომარე	ოთარ დანელია	TOYOTA CAMRY	BB-546-VV	4038.25	34932	1893.94	11.5	6187.36	53918	2992.87	11.4	2271.25	20050	11.3
საგარეო ურთ-ობათა კომიტ./თავმჯდომარე	სოფო ქაცარავა	TOYOTA CAMRY	BB-547-VV	6782.83	52021	3456.65	13	6474.56	50290	3145.87	12.8			
	ირაკლი ბერაია	TOYOTA CAMRY	BB-547-VV									1417.72	11717	12
საფინ.-საბიუჯ. კომიტ./თავმჯდომარე	ირაკლი კოვზანაძე	TOYOTA CAMRY	BB-548-VV	7193.51	53814	3598.02	13.3	7197.39	54569	3597.81	13.1	3472.31	27535	12.6
განათლ., მეცნ., კულტურის კომიტ./თავმჯდომარე	მარიამ ჯაში	TOYOTA CAMRY	BB-549-VV	7102.15	53668	3515.1	13.2	6701.98	41732	3443.32	16			
	გენადი მარგველაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-541-VV									2460.84	21588	11.3
თავდაცვის და უშიშროების კომიტ./თავმჯდომარე	ირაკლი სესიაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-550-VV	6612.88	63105	3374.76	10.4	5918.28	52700	2996.99	11.2	2787.24	23585	11.8
უმრავლესობის ლიდერი	არჩილ თალაკვაძე	TOYOTA CAMRY	BB-551-VV	5904.48	47954	3091.96	12.3							
პარლ-ნტის თავ-რის მოადგ.	ირმა ინაშვილი	TOYOTA CAMRY	BB-552-VV	4332.55	28247	2046.18	15.3	2791.45	17953	1948.48	15.5	2600.72	22326	11.6
ფრაქცია „ქართ. ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე	სიმონ ნოზაძე	TOYOTA CAMRY	BB-554-VV	6827.03	65643	3239.95	10.4	6267.4	54347	2872.72	11.5	2358.24	16364	14.4
პარლ-ნტის თავ-რის მოადგ.	ზვიად ძიძიგური	MITSUBISHI PAJERO	EVE - 041	629.97		629.97								
		TOYOTA CAMRY	BB-556-VV	5065.14	52819	2401.31	9.58	4426.55	48500	1785.93	9.12			
	გიორგი კახიანი	TOYOTA CAMRY	BB-539-VV									1531.26	12073	12.6
ფრაქცია „ნაც. მოძრაობა“ თავმჯდომარე	რომან გოცირიძე	TOYOTA CAMRY	BB-557-VV	6661.32	50720	3234.25	13.1	5852.41	38870	2925.56	15	2545.89	16324	15.5
მე-9 მოწვევის პარლ-ნტის წევრი	რატი იონათამიშვილი	TOYOTA CAMRY	BB-559-VV	5327.02	47550	2629.49	11.2	5374.83	44778	2682.08	12	3192.17	23020	13.8
ფრაქცია „ქართ. ოცნება-ძლიერი საქართ“ თავმჯდომარე.	ბიძინა გეგიძე	TOYOTA CAMRY	VV-277-UU	5586.92	47474	2729.02	11.7							
	ირაკლი აბუსერიძე	TOYOTA CAMRY	VV-277-UU					5000.37	42506	2637.2	11.7	2262.21	16870	13.4
	ირაკლი ბერაია	VOLKSWAGEN PASSAT	LUK - 737	1579.57		1579.57								

თავდაცვის და უშიშროების კომიტ./თავ-რის მოადგ.		HYUNDAI ELANTRA	QQ-786-DD	3798.84	41053	1113.79	9.25	4792.51	52527	2612.44	9.12			
	კობა კობალაძე	VOLKSWAGEN PASSAT	VAX- 505									1612.82	18480	8.72
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკ-ური პოლიტიკის კომიტ./თავ-რის მოადგ.	გიორგი ბეგაძე	VOLKSWAGEN PASSAT	UL-464-UL	1226.99		1226.99								
		HYUNDAI ELANTRA	QQ-790-DD	3530.07	44500	1095.17	7.93	4465.14	57415	2224.97	7.77			
	ირაკლი მეზურნიშვილი	HYUNDAI ELANTRA	QQ-790-DD									1642.24	19065	8.61
ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტ./თავ-რის მოადგ.	გედევან ფოფხაძე	VOLKSWAGEN PASSAT	OA-141-OA	1350.09		1350.09								
		HYUNDAI ELANTRA	QQ-791-DD	3581.95	52500	1117.99	6.82	2086.8	27800	943.94	7.5			
	შაკო კიკნაველიძე	HYUNDAI ELANTRA	QQ-791-DD									2539.01	29300	8.66
საგარეო ურთ-ობათა კომიტ./თავ-რის მოადგ.	ნინო გოგუაძე	VOLKSWAGEN PASSAT	TSP- 039	2745.11		1616.01								
		HYUNDAI ELANTRA	QQ-794-DD	2803.17	29949	925.37	9.4	3571.49	36158	1519.45	9.87			
	ვოტნე ზურაბიანი	HYUNDAI ELANTRA	QQ-794-DD									2400.41	27636	8.68
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტ./თავ-რის მოადგ.	შოთა ხაბარელი	HYUNDAI ELANTRA	QQ-796-DD	3799.04	37000	1100.99	10.2	5362.66	37900	2663.59	14.1	2432.95	26300	9.25
დღიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტ./თავ-რის მოადგ.	სალომე ზურაბიშვილი	VOLKSWAGEN PASSAT	NYC- 490	1488.66		1488.66								
		HYUNDAI ELANTRA	QQ-802-DD	2296.98	26000	1171.98	8.83							
	გივი ჭიჭინაძე	HYUNDAI ELANTRA	QQ-802-DD					3607.16	32770	1578.39	11	1743.13	15070	11.5
იურიდ./საკითხთა კომიტ./თავ-რის მოადგ.	ვანო ზარდიაშვილი	VOLKSWAGEN PASSAT	VWW- 182	3377.09		2098.38								
		HYUNDAI ELANTRA	VV-157-OV	2666.64	26528	866.96	10							
	დ. მათიკაშვილი	HYUNDAI ELANTRA	VV-157-OV					4073.11	39472	1965.65	10.3	1243.33	13800	9
საპროცედურო საკითხთა და წყესების კომიტ./თავ-რის მოადგ.	გურამ მაჭარაშვილი	VOLKSWAGEN PASSAT	TSP- 021	1568.52		1568.52								
		HYUNDAI ELANTRA	VV-158-OV	3622.67	48882	1125.13	7.41	4816.16	54618	2501.83	8.81			
	ედუარდ თოლორაია	HYUNDAI ELANTRA	QQ-786-DD									1540.89	16040	9.6
გარემოს დაცვისა და ბუნებ./ რესურსების კომიტ. თავმჯდომარე.	კახა კუჭავა	HYUNDAI IONIQ HYBRID	WW-405-WO	1054.53	21915	120	4.81	2015.8	42731	885.7	4.71			
	ნინო წილოსანი	TOYOTA CAMRY	BB-536-VV									1470.01	11800	12.4
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტ./თავ-რის მოადგ.	ირინა ფრუიძე	HYUNDAI ELANTRA	VV-173-OV	2508.52	21800	809.1	11.5	2496.59	20700	1386.76	12			

გარემოს დაცვისა და ბუნებრივ რესურსების კომიტ./თავ-რის მოადგ.	ზაზა ხუციშვილი	VOLKSWAGEN PASSAT	TSP- 033	762.01		762.01								
		HYUNDAI ELANTRA	VV-175-OV	2531.23	32246	753.39	7.84	2109.92	25304	1112.46	8.33			
	სულხან მახათაძე	HYUNDAI ELANTRA	VV-175-OV									1605.96	19695	8.15
საფინ.-საბიუჯ. კომიტ./თავ-რის მოადგ.	პაატა კვიფინაძე	VOLKSWAGEN PASSAT	TSP- 035	1196.01		1196.01								
		HYUNDAI ELANTRA	VV-992-OV	3505.16	39250	1111.57	8.93	4704.3	49270	2269.01	9.54	2174.83	24132	9.01
განათლ., მეცნ., კულტურის კომიტ./თავ-რის მოადგ.	გენადი მარგველაშვილი	VOLKSWAGEN PASSAT	TSP- 040	1253.79		1253.79								
		HYUNDAI ELANTRA	VV-995-OV	3485.5	42125	1131.94	8.27	4670.09	55898	2411.05	8.35			
	ალექსანდრე ქანთარია	HYUNDAI ELANTRA	VV-995-OV									2699.43	21295	12.6
აგრარულ საკითხთა კომიტ./თავ-რის მოადგ.	გელა სამხარაული	VOLKSWAGEN PASSAT	TSP- 041	1622.24		1622.24								
		HYUNDAI ELANTRA	VV-174-OV	3766.74	31000	1073.91	12.1							
		HYUNDAI ELANTRA	VV-996-OV					4857.02	41550	2698.86	11.6	1980.87	15802	12.5
ფრაქცია „ქართ. ოცნება-დღიერი ეკონომიკა“ თავმჯდომარე,	გოჩა ენუქიძე	VOLKSWAGEN PASSAT	VAX- 505	3013.17	41280	1400.18	7.29	3410.17	36840	1608.65	9.25			
		TOYOTA CAMRY	BB-538-VV									2514.14	24751	10.1
უმცირესობის ლიდერი	დავით ბაქრაძე	AUDI Q7	VBB-100	8295.15	58750	4140.27	14.1							
რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმ-ობის კომიტ./თავ-რის მოადგ.	ირაკლი ტრიპოლსკი	TOYOTA LAND CRUISER	PHP- 224	7796.3	51690	3897.77	15	5067.63	34499	3453.79	14.6			
		TOYOTA CAMRY	BB-353-RB									2676.25	21070	12.7
ჯანდაცვის და სოც./საკითხთა კომიტ./თავ-რის მოადგ.	დიმიტრი ხუნდაძე	VOLKSWAGEN PASSAT	TSP- 038	4538.13		2632.21		515.32						
		HYUNDAI ELANTRA	VV-993-OV					5178.11	59946	2603.53	8.63			
	ვლადიმერ კახაძე	HYUNDAI ELANTRA	VV-993-OV									1934.24	17223	11.2
ფრაქცია-„დამოუკიდებელი დეპუტატები“ თავმ.	მარიამ ჯაში	TOYOTA CAMRY	BB-549-VV									3365.87	25018	13.4
პარლ-ნტის თავ-რის მოადგილე	კახა კუჭავა	HYUNDAI IONIQ HYBRID	WW-405-WO									806.85	15754	5.12

